



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილება
ქ. თბილისი



MES 6 20 0000950168



06/10/2020

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს საქართველოს უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №62 გადაწყვეტილებისა და 2020 წლის 30 მარტის №15 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

2. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 05 ოქტომბრის №941270 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. ოკრიბელაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

